

**დადგენილება №26/2020** სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საპროექტო განაცხადის შერჩევის წესში ცვლილების შეტანის შესახებ

დადგენილება №26/2020

14 მაისი, 2020

დადგენილება №26/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საპროექტო განაცხადის შერჩევის წესში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 მაისის N17 სხდომის ოქმის საფუძველზე,

#### **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საპროექტო განაცხადის შერჩევის წესში“ და

#### **ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2.1.ბ. პროექტის ხელმძღვანელობას ახორციელებს კონსერვატორიის აკადემიური პერსონალი, ასევე აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი, გარდა სამეცნიერო პროექტებისა;  
2.1.გ. ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს კონსერვატორიის სასწავლო ან/და სამეცნიერო პროცესში ჩართული ნებისმიერი სუბიექტი (მათ შორის აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი ან მაგისტრანტი);  
2.1.დ. ჯგუფის წევრი შეიძლება არ იყოს კონსერვატორიის პერსონალი, მაგრამ საჭირო იყოს მისი კომპეტენცია პროექტის განსახორციელებლად.“.

#### **ბ) მე-6 მუხლის 6.5. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6.5. გამარჯვებულ საპროექტო განაცხადმა უნდა დააგროვოს ქულათა საერთო ჯამური რაოდენობის 75%.“.

**გ) მე-7 მუხლის 7.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7.2. საპროექტო განაცხადის/ების შერჩევა ხორციელდება რექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ შეფასების თითოეულ კრიტერიუმზე ღია კენჭისყრით. სხდომაში/ებში და განხილვაში/ებში მონაწილეობის უფლება აქვთ ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტებს სრული შემადგენლობით და დეკანის მიერ წარდგენილ დოქტორანტებს ხმის უფლების გარეშე.“

2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)
3. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

